საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

და

შპს „ავტოგზალენტეხი 99“

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ე.ტ.N 59-22

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთის საავტომობილო გზის კმ1(0+145)-ზე, მდინარე ნაბჟუარაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები

ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT220005549)

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ე.ტ. № 59-22

ქ.თბილისი **20 მაისი, 2022 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, სალომე წურწუმიას სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022
ელ.ფოსტა: info@georoad.ge

და მეორე მხრივ, **შპს „ავტოგზალენტეხი 99“** წარმოდგენილი მისი დირექტორის, **ამირან ზურაბიანის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი)

მის. : საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემქა XI მ/რ, II კვ., კორპ. 16ბ, ბინა 33
საიდენტიფიკაციო კოდი: 234065089
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE30BG0000000889424601
ელ.ფოსტა: avtogzalentexi99@gmail.com

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (**NAT220005549**) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და მისი შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთის საავტომობილო გზის კმ1(0+145)-ზე, მდინარე ნაბჟუარაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები** (შემდგომში - სამუშაო).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: **45221119 - ხიდის განახლების სამუშაოები.**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **474 444.00 (ოთხას სამოცდათოთხმეტი ათას ოთხას ორმოცდაოთხი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს სამუშაოების დაწყების შესახებ შემსყიდველის წერილობითი დავალების გაცემიდან **3 (სამი) თვეში.**
2. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოს შესრულების გეგმა- გრაფიკის შესაბამისად.
3. სამუშაოების დაწყების შესახებ შემსყიდველი გასცემს წერილობით დავალებას. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული სამუშაოები დაიწყოს შემსყიდველის წერილობით დავალების მიღებისთანავე. მიმწოდებელს არ აქვს უფლება

სამუშაოები დაიწყოს შემსყიდველის წერილობითი დავალების მიღებამდე. შემსყიდველის წერილობითი დავალების გარეშე სამუშაოების დაწყება განიხილება ხელშეკრულების დარღვევად და შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომა.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის ზედამხედველთან შეთანხმება (ასლი შემსყიდველთან) და შემსყიდველთან წარდგენა. სამუშაოების გეგმა-გრაფიკში ხარვეზის აღმოჩენის ან გონივრული ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ზედამხედველის/შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის გამოსწორება/გონივრული მითითების გათვალისწინება და გასწორებული გეგმა-გრაფიკის ზედამხედველთან (ასლი შემსყიდველთან) წარდგენა. 5 სამუშაო დღის ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა/მითითების შეუსრულებლობა იწვევს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი დაერთვება ხელშეკრულებას დანართის გაფორმების გზით. შემსყიდველისთვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოს შესრულების ვადას.

5. სამუშაოს შესრულება იწარმოებს ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილზე.

6. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების ვადის გაგრძელების ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართოს ზედამხედველს (ასლი შემსყიდველს), ამ ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე. ამ ვადის დარღვევით წარმოდგენილი მოთხოვნა არ ექვემდებარება განხილვას, მიმწოდებელს სამუშაოების ვადა არ გაუგრძელდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელების ობიექტური გარემოებები წარმოიშვა სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვამდე 10 კალენდარული დღით ადრე პერიოდის შემდგომ.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების **5 %-ს.**

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა და შემსყიდველის მიერ ამ შესრულების მიღების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს

მიმწოდებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

7. შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

8. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ, ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება და შემსყიდველს წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცვლილება/ახალი საბანკო გარანტია).

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველ თვე შემსყიდველს წარუდგინოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის მითითებით.

3. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოებისა და **გამარტივებული ტიპის სააქციო საზოგადოება Egis International**-ის (შემდგომში - ზედამხედველი) (ზედამხედველის დასახელება) მიერ დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმების, შემსყიდველის მიერ გადახდის სერთიფიკატისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიმწოდებლის სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად შემსყიდველისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მიერ ანაზღაურდება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების მათ შორის, შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომელთა მოცულობასა და ხარისხზე არსებობს ზედამხედველის მიერ დადასტურებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი.

6. გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მიმწოდებლის მიერ მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

7. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება, შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს არ გააჩნია პრეტენზია სამუშაოს აუთვისებელი მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

მუხლი 6. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე, შემსყიდველის მიერ სამუშაოების დაწყების შესახებ წერილობითი დავალების გაცემის შემდგომ.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.

4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში (შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი), მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემულ ავანსის ნახევარი ოდენობის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე და აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

8. შემსყიდველის მიერ გადახდილი ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

9. გადახდილი ავანსის დაკავება განხორციელდება მას შემდეგ, როცა შესრულებული სამუშაოების მოცულობა მიაღწევს 20%-ს, ხოლო გადახდილი ავანსის სრულად დაქვითვა განხორციელდება, როცა შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეადგენს 70%-ს.

10. გადახდილი ავანსის დაქვითვა ასევე შესაძლოა განხორციელდეს წინსწრებით.

11. მიმწოდებელი ვალდებულია, ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

12. შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ

ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გადახდილი ავანსი ან მისი ნაწილი.

13. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 7. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისიის მიერ შედგენილი სამუშაოს მიღების აქტის გაფორმებიდან **2 (ორი) წელს**.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა.

3. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის პირველი ნახევრის (2.5%) დაბრუნება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულად დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული კომისიის მიერ შედგენილი სამუშაოს მიღების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული კომისიის მიერ დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს დეფექტ(ებ)ი, მიმწოდებელს ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის პირველი ნახევარი არ აუნაზღაურდება სამუშაოს დეფექტ(ებ)ის გამოსწორებამდე.

5. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული მეორე ნახევრის (2.5 %) დაბრუნება მოხდება საგარანტიო ვადის 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ, თუ შემსყიდველის ან/და ზედამხედველის მიერ დეფექტ(ებ)ის არარსებობის შესახებ შემსყიდველისთვის ზედამხედველის ან/და შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ წარდგენილ იქნა შესაბამისი აქტი, რომლითაც დადასტურდება საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ დეფექტ(ებ)ის არარსებობა.

6. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ/არ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტში აღნიშნული დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრას, შემსყიდველი ზედამხედველთან ერთად შეაფასებს ამ დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულებას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანხას სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხიდან.

8. თუ ამ მუხლის მე-4 ან მე-5 პუნქტში აღნიშნული დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრისათვის საჭირო თანხა აღემატება სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებულ თანხას, შემსყიდველი უფლებამოსილია, დამატებით მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნული სხვაობის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შემსყიდველი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული 2.5% მიმწოდებელს დაუბრუნოს ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული პირველი 2.5%-ის გადახდის შემდეგ, საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ გაცემულ 2.5%-ის ოდენობის საბანკო გარანტიას და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის დროს სამუშაოს დეფექტ(ებ)ის არარსებობას.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს საბანკო გარანტიით განსაზღვრული სრული თანხა. აღნიშნული საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საგარანტიო ვადის ამოწურვიდან არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

მუხლი 8. სამუშაოს შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 9. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების წარდგენა.

2. მიმწოდებლის მიერ ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი (ფორმა №2)) გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილ შესრულებულ სამუშაოებს (ფორმა №2) ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული სხვა პირის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო დასკვნასა და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) შორის აღმოჩნდება ცდომილება, მიმწოდებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნულ საექსპერტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.

4. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ზედამხედველი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყოველთვიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

5. დასრულებული სამუშაოს მიღებას შემსყიდველი ახორციელებს ამ მუხლის მე-6 -მე-7 პუნქტების შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველსა და ზედამხედველს სამუშაოს დასრულების შესახებ. ზედამხედველი ამოწმებს დასრულებული სამუშაოს მოცულობას და მისი დადასტურების შემთხვევაში მიმართავს შემსყიდველს ამ მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრული კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

7. დასრულებული სამუშაოს მიღება ხორციელდება „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის №1-1/23 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად და ამავე წესის შესაბამისად, შექმნილი კომისიის მიერ.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემები, ასევე, შემსყიდველთან საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შეთანხმებამდე და შეთანხმებული სქემით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით უსაფრთხო საგზაო მოძრაობის რეგულირებამდე, არ დაიწყოს ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელმაც შეიძლება, ზემოქმედება იქონიოს საგზაო მოძრაობაზე;

დ) განათავსოს დროებითი საგზაო ნიშნები, საგზაო მონიშვნა, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები დამტკიცებული და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს სხვა ისეთი

აუცილებელი ზომები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც მოითხოვს სამუშაოები;

ე) უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემით განსაზღვრული საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის, ბარიერების და საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სუფთა და თვალსაჩინო მდგომარეობაში არსებობა; დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად, შემსყიდველთან და ზედამხედველთან შეთანხმებით;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წერილობით შეუთანხმოს შემსყიდველს გარემოსდაცვითი მმართველი იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის სამუშაოები წლის განმავლობაში წარმოქმნის ნებისმიერი მოცულობის სახიფათო ნარჩენს, 200 ტონაზე მეტ არასახიფათო და 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის მიმწოდებელს არ აქვს მოპოვებული საჭირო დოკუმენტაცია ან ნებართვა, მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო დოკუმენტაციის ან ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;

თ) უზრუნველყოს ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეჟიმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემა შემსყიდველის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურისათვის ან მისი უფლებამონაცვლისთვის;

ი) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალების და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

კ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურთან ან მის უფლებამონაცვლესთან;

ლ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

მ) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე მიმწოდებლის საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

ნ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ო) უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) სამუშაოების წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებიდან, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე უზრუნველყოს შეუფერხებელი განვლადობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ზამთრის მოვლა-შენახვის, საავტომობილო გზის სავალი ნაწილის გასუფთავების სამუშაოებს და სხვა).

ჟ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

2. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების პირველ მუხლში გათვალისწინებულ ადგილზე მიმწოდებლის მიზეზით საგზაო მოძრაობის დროებითი შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და ზიანის წარმოშობის შემთხვევაში მის ანაზღაურებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯით.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასალები გადასცეს შემსყიდველს მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალებისა და ჯართის სახით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. ამ პუნქტში გათვალისწინებული მასალების ფაქტობრივი რაოდენობა დგინდება ზედამხედველის მიერ ადგილზე შესაბამისი აქტის გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი ვალდებულია ამ პუნქტით განსაზღვრული უკან დასაბრუნებელი მასალების მოვლა-შენახვა უზრუნველყოს საკუთარი ძალებითა და ხარჯით, მათი სხვა ადგილას განთავსებამდე, ან შემსყიდველის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მათ განკარგვამდე ან გამოყენებამდე.

5. სამუშაოების განსახორციელებლად გადაცემულ საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების საჭიროების ან/და დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო ცვლილების ან/და დამატებით სამუშაოების აუცილებლობის შესახებ მოვლენის/გარემოების წარმოშობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს ზედამხედველს წერილობითი სახით (ასლი შემსყიდველთან), მაგრამ არაუგვიანეს სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვამდე 1 (ერთი) თვით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოვლენა/გარემოება წარმოიშობა სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვამდე 1 (ერთი) თვით ადრე პერიოდის შემდგომ. სამუშაოების დასრულების ვადის ამოწურვამდე 1 (ერთი) თვით ადრე საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების საჭიროების ან/და დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ზედამხედველთან წარუდგენლობის შემთხვევაში, ზედამხედველი უფლებამოსილია არ განხილოს საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების საჭიროება ან/და დამატებითი სამუშაოები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა როდესაც, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება შეუძლებელია ცვლილებების ან/და დამატებითი სამუშაოების შესრულების გარეშე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ცვლილებების საჭიროების ან/და დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობის შესახებ მიმწოდებლის მხრიდან საკითხის დაყენებიდან ზედამხედველის ან/და შემსყიდველის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანამდე) სამუშაოების შეჩერების ან პროექტის შესაბამისად სამუშაოების გაგრძელების საკითხს წყვეტს ზედამხედველი და მიმწოდებელზე გასცემს შესაბამის წერილობით მითითებას.

მუხლი 11. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველი ან/და ზედამხედველი.

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება). შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და ვადების დაცვის კონტროლი ევალება შემსყიდველის **აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, ხოლო, ფინანსური მონიტორინგი - შემსყიდველის ფინანსების მართვის სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს.**

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი ან/და ზედამხედველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი, რის შემდგომაც შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ აამოქმედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე

სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან, შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

2. ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01 %-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 10 (ათი) დღით ადრე და მიმწოდებელი ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე 10 (ათი) დღით ადრე ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დასრულებას, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს

ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

7. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

8. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;

ვ) მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

ზ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

თ) ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა ცდომილება შემსყიდველისთვის წარდგენილ (გადამოწმებულ) შესრულებულ სამუშაოებზე (ფორმა №2);

ი) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

კ) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების მე-4 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

მუხლი 15. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 16. ქვეკონტრაქტორები და მიმწოდებლის პერსონალი

1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ქვეკონტრაქტორისათვის სრულად გადაცემა.

2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი სამუშაოს ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე შემყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სამუშაოების განმახორციელებლი პერსონალის ზედამხედველთან შეთანხმება, შესაბამისი პერსონალის სახელის, გვარის, დაკავებული პოზიციის მითითებით. ზედამხედველი უფლებამოსილია მიმწოდებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია მიმწოდებლის პერსონალთან დაკავშირებით.

მუხლი 17. შეტყობინება

1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით. ნებისმიერი შეტყობინება (დოკუმენტაცია) მხარეებმა შეიძლება, მიიღონ საფოსტო გზავნილით, შესაბამისი მხარის ოფიციალურ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე (საჭიროების შემთხვევაში, ორიგინალის შემდგომი წარდგენით).

2. ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა რეკვიზიტებში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი, წარმოადგენს მხარეთა ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას. ელექტრონული გზავნილი/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი გაგზავნის დღეს, მიუხედავად იმისა, ადრესატი დაადასტურებს თუ არა მის მიღებას. ელექტრონული გზავნილი არ ჩაითვლება მიღებულად, თუ გამგზავნმა მიიღო შესაბამისი საფოსტო სერვერიდან შეტყობინება, რომ ადრესატის მისამართზე გზავნილი არ მივიდა.

3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ შეინარჩუნებენ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტას აქტიურ მდგომარეობაში, ხოლო მისი ცვლილების შემთხვევაში მომდევნო სამუშაო დღეს წერილობით შეატყობინებენ მეორე მხარეს ახალი ელექტრონული ფოსტის მისამართს. აღნიშნულის თაობაზე შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ელექტრონული შეტყობინება (დოკუმენტაცია) გაიგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ითვლება მიღებულად.

მუხლი 18. კონფიდენციალურობა და კეთილსინდისიერება

1. მიმწოდებელი (მათ შორის მისი თანამშრომლები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები) ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და დოკუმენტაცია/ინფორმაცია რომელიც მიიღო ხელშეკრულების ფარგლებში ან/და დოკუმენტაცია რომელიც მოამზადა ხელშეკრულების ფარგლებში, არ გადასცეს იგი მესამე პირებს და არ გაავრცელოს საჯაროდ შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა გამოწვეული არის ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და თუ ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ქმედებას ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეები განიხილავენ როგორც არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა ან/და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და გამოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ვალდებულება დაიცვას ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს. ამასთან, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 19. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული დოკუმენტის ფორმით, მასზე შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9. მიმწოდებლის ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური დავალება, საპროექტო დოკუმენტაცია, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან – **2022 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით,** გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა,

რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

Roads Department of Georgia

Digitally signed by Roads Department of Georgia
Date: 2022.05.20 11:17:44 +04'00'

სალომე წურწუმია

მიმწოდებელი:
შპს „ავტოგზალენტეხი 99“

ამირან ზურაბიანი

Amiran Zurabiani 27001000579
Digitally signed by Amiran Zurabiani
Date: 2022.05.20 10:27:41

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(უპირობო საბანკო გარანტია)
M/FR/C/001135/22

გაცემის თარიღი: 18.05.2022 წელი

გარანტი :	სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი, ს/კ: **204540274**
პრინციპალი :	**შპს ავტოგზალენტეხი 99, ს/კ: 234065089**
ბენეფიციარი :	**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ს/კ: 211343982**
საგარანტიო თანხა :	23 723 (ოცდასამი ათას შვიდას ოცდასამი) ლარი

ვის: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ს/კ: 211343982

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს „ შპს ავტოგზალენტეხი 99" (ს/კ:234065089), შემდგომში "პრინციპალი", ბენეფიციარის, მიერ 2022 წლის 18 მარტს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში NAT220005549 (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთი-შემოქმედი-ბუჟუჭესი-გომისმთის საავტომობილო გზის კმ1(0+145)-ზე. მდინარე ნაბეჟუარაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.) გამოცხადდა გამარჯვებულად და მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება, წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე,

ჩვენ სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი", ს/კ: 204540274 თანახმა ვართ, გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია და ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები ბენეფიციარის წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე 23 723 (ოცდასამი ათას შვიდას ოცდასამი) **ლარი** ლარი და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), ბენეფიციარის მოთხოვნაში პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, ბენეფიციარის მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების და რაიმე დოკუმენტის წარმოდგენის საჭიროების გარეშე. გარანტიის ფარგლებში მოთხოვნა გარანტს უნდა ჩაბარდეს კანცელარიაში, სამუშაო საათებში შემდეგ მისამართზე, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N24, სართული 6, სადარბაზო 1, ოფისი N6

წინამდებარე გარანტია ძალაშია 18.05.2022-დან - 30.12.2022 - ჩათვლით

<u>გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:</u>

გარანტის მიერ წინამდებარე გარანტიით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებით;
წინამდებარე გარანტიის ვადის გასვლით;
გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით.

წინამდებარე გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

გარანტი
სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი ს/კ 204540274
ქ.თბილისი,უნივერსიტეტის ქუჩა, N24, სართული 6, სადარბაზო 1, ოფისი N6
ფინანსური დირექტორი

მარეხი გურული

დანართი №4

ხარჯთაღრიცხვა

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთი-შემოქმედი-ბუჟუჰესი-გომისმთის ს/გზის კმ1(0+145), მდინარე ნაბუარაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები

№	სამუშაოების, რესურსების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი* (ლარი)	ერთეულის საბოლოო ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
	თავი 1. მოსამზადებელი სამუშაოები					
	ტრასის აღდგენა-დამაგრება	კმ	0,20	536,00	441,55	88,31
	დროებითი მისასვლელი გზებისა და სამშენებლო მოედნის მოწყობა					
1	ტერიტორიის მოსწორება ბულდოზერით	მ2	626,00	0,05	0,05	31,30
2	მისასვლელი გზისა და ბურჯებთან სამშენებლო მოედნების მოხრეშვა-მოშანდაკება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით, დატკეპვნით	მ3	250,00	28,30	25,00	6250,00
3	სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის დატვირთვა და გატანა ნაყარში	ტ	28,80	5,09	5,00	144,00
	სამშენებლო ბაზის მოწყობა					
4	33გ გრუნტის დამუშავება ბულდოზერით, 20 მ-ზე გადაადგილებით	მ3	100,00	0,71	0,70	70,00
5	სამშენებლო მოედნის მოხრეშვა-მოშანდაკება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით, დატკეპვნით	მ3	30,00	28,30	28,00	840,00
6	სამშენებლო მოედნის შემორაგვა მავთულ-ბადით ხის ბოძებზე, შემდგომი დაშლით	მ	50,00	23,93	23,00	1150,00
	მშენებლობის პერიოდში გზის ინვენტარული ნიშნებით აღჭურვა					
7	საგზაო ნიშნების ბეტონის ქვესადგამების დატვირთვა ბაზაში თვითმცლელებზე, ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე, გადმოტვირთვა, მონტაჟი-დემონტაჟი 2-ჯერ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბაზაში დაბრუნება	ც	10,00	20,37	20,00	200,00
8	სპეცპროფილის ბლოკების დატვირთვა ბაზაში თვითმცლელებზე, ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე, გადმოტვირთვა, მონტაჟი-დემონტაჟი 2-ჯერ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბაზაში დაბრუნება	მ3	10,78	180,43	150,00	1617,00
9	ინვენტარული საგზაო ნიშნების ფოლადის დგარებისა და ფარების დატვირთვა ბაზაში თვითმცლელებზე, ტრანსპორტირება სამშენებლო მოედანზე, გადმოტვირთვა, მონტაჟი-დემონტაჟი 2-ჯერ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბაზაში დაბრუნება	ც	20,00	39,80	39,00	780,00
10	ინვენტარული, მზის ენერგიაზე მომუშავე შუქნიშნის მონტაჟი, დემონტაჟი	ც	2,00	5,94	5,00	10,00
	მდინარის კალაპოტის ფორმირება					
11	სანაპირო ბურჯებთან, მისასვლელი ყრილის კონუსებსა და მიმდებარედ მცენარეული საფარის გაჩეხვა-ამოძირკვა	მ2	350,00	0,26	0,25	87,50
12	სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის დატვირთვა და გატანა ნაყარში	ტ	27,00	5,09	5,00	135,00

13	მშენებლობის პერიოდში მდინარის ნაკადის რეგულირებისთვის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით, 100 მ-ზე გადაადგილებით, დროებითი დამბის მოსაწყობად, შემდგომი დაშლით	მ3	1440,00	7,41	5,00	7200,00
	თავი 2. სანაპირო ბურჯები და კედლები					
1	ბურჯების ფრთებზე შემაღლებული ტროტუარის ფილებისა და საკარადე კედლების მონგრევა პნევმოჩაქუჩებით, დატვირთვა თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში	მ3	30,00	105,38	105,00	3150,00
2	რ/ბ ახალი საკარადე კედლების მონოლითური ბეტონი B30, F200, W6, არმატურის დაწყობით	მ3	24,90	442,41	400,00	9960,00
3	რ/ბ თვალამრიდებისა და ტროტუარის ფილის მონოლითური ბეტონი B30, F200, W6, არმატურის დაწყობით	მ3	13,80	596,43	450,00	6210,00
	ბურჯებთან გადასასვლელი ფილების მოწყობა					
4	გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში	მ3	117,00	8,77	8,00	936,00
5	ღორღის ბალიშის მოწყობა	მ3	22,00	36,34	35,00	770,00
6	მოსამზადებელი ფენის მონოლითური ბეტონი B20, F200, W6	მ3	7,00	182,29	180,00	1260,00
7	გადასასვლელი ფილების მონოლითური ბეტონი B30, F200, W6, არმატურის დაწყობით	მ3	22,10	701,94	650,00	14365,00
8	ქვაბულის დამუშავება ბურჯებთან და კედლებთან ექსკავატორით, გვერდზე გადაყრით, უკუჩაყრა	მ3	78,00	3,44	3,00	234,00
9	ქვაბულის დამუშავება ხელით, გვერდზე გადაყრით, უკუჩაყრა	$მ^3$	4,00	19,62	19,00	76,00
10	წყლის ამოტუმბვა 2 ცალი 60 მ3/სთ წარმადობის ტუმბოთი	მ/სთ	40,00	29,12	29,00	1160,00
11	ბურჯებთან ხის ხარაჩოების, ფენილისა და მოაჯირის მონტაჟი და დემონტაჟი 2-ჯერ, გატანა ნაყარში	მ3	3,10	1198,87	1190,00	3689,00
12	ბურჯების ბეტონის ტანისა და კედლების ზედაპირის გაწმენდა სილა-ჭავლური მეთოდით	მ2	141,00	6,03	6,00	846,00
13	საანკერო ბურღილების მოწყობა, დამუშავება ეპოქსიდის მასტიკით, ანკერების ჩაჭედვა	ც	282,00	6,00	6,00	1692,00
	ბურჯების ტანსა და არსებულ კედელზე რ/ბ პერანგის მოწყობა					
14	ბურჯების ტანის მონოლითური ბეტონი არმატურის დაწყობით, B25, F200, W6	მ3	28,20	438,90	438,00	12351,60
15	ქვაბულის შევსება რიყის ქვებით, საშ. დიამ. 0,6 მ	მ3	82,00	34,16	34,00	2788,00
16	ბურჯების ფრთებისა და მიმდებარე კედლის ზედაპირის გაწმენდა სილა-ჭავლური მეთოდით, შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, შეღებვა საფასადე საღებავით	მ2	46,00	34,61	34,00	1564,00
17	ფილის გაწმენდა ნაგვისგან ხელით, დატვირთვა და გატანა ნაყარში	მ3	0,500	14,92	14,00	7,00
18	საყრდენი ნაწილების გაწმენდა სილა-ჭავლური მეთოდით, შეღებვა ზეთოვანი საღებავით, 2 ფენად	მ2	2,00	12,68	12,00	24,00
	თავი 3. მალის ნაშენი და სავალი ნაწილი					
1	მალის ნაშენის წამოწევა დომკრატებით რეზინის საყრდენი ნაწილების მოსაწყობად და დაშვება	მ	1,00	7745,60	7700,00	7700,00
2	რეზინის საყრდენი ნაწილების მოწყობა	ც	6,00	343,47	340,00	2040,00
3	მალის ნაშენის დაზიანებული ადგილების გაწმენდა სილა-ჭავლური მეთოდით	მ2	149,00	6,03	6,00	894,00

4	დაზიანებული ზედაპირის დამუშავება მჭიდი საცხით	მ2	59,40	5,35	5,00	297,00
5	გასუფთავებულ ზედაპირზე პოლიმერული ბეტონის ფენის დატანა, სისქით 4 სმ (შელესვა)	მ2	149,00	12,17	12,00	1788,00
6	მალის ნაშენის საფასადე მხარეების შეღებვა საღებავით	მ2	34,00	6,19	6,00	204,00
	სავალი ნაწილი ხიდთან მისასვლელებზე					
7	მალის ნაშენსა და ხიდთან მისასვლელებზე დაზიანებული ა/ბ საფარის მოხსნა, გატანა ნაყარში	მ3	8,19	37,96	35,00	286,65
8	მალის ნაშენის შემაღლებული ნაწილის მონგრევა პნევმოჩაქუჩებით, დატვირთვა თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში	მ3	5,00	105,38	105,00	525,00
9	ხიდზე არსებული ლითონის მოაჯირების დემონტაჟი, გატანა ბაზაში ჯართის სახით	ტ	1,53	184,39	180,00	275,40
10	მალის ნაშენის გასწვრივ ხის ხარაჩოების მონტაჟი და დემონტაჟი 2-ჯერ, გატანა ნაყარში	მ3	4,50	1199,82	1190,00	5355,00
11	მალის ნაშენის რ/ბ ფილის მონოლითური ბეტონი B30, F200, W6, არმატურის დაწყობით	მ3	33,00	663,09	600,00	19800,00
12	წყალსაწრეტი მილების მოწყობა, დიამ. 100 მმ	მ	4,80	10,22	10,00	48,00
13	ასაკრავი ჰიდროიზოლაცია	მ2	166,00	39,45	30,00	4980,00
14	ლითონის მოაჯირის დამზადება, ტრანსპორტირება და მონტაჟი შეღებვით	ტ	2,158	4204,93	4200,00	9063,60
15	სადეფორმაციო ნაკერების მოწყობა ზედაპირის გაწმენდით, შეღებვით, კომპენსატორის დაყენებით	მ	24,60	100,44	100,00	2460,00
	დრენაჟის მოწყობა					
16	თუჯის ძაბრების ცხაურების მოწყობა	ც	6,00	47,93	47,00	282,00
17	პოლიეთილენის საწრეტი მილების მოწყობა, დიამ. 150 მმ	მ	12,00	21,42	21,00	252,00
	პლასტმასის მილების დამაგრება მალის ნაშენზე					
18	საანკერო ბურღილების მოწყობა, დამუშავება ეპოქსიდის მასტიკით, ანკერების ჩაჭედვა	ც	12,00	7,92	7,00	84,00
19	სავალი ნაწილის შემასწორებელი არმირებული ფენის მონოლითური ბეტონი B30, F200, W6	მ3	5,40	584,31	580,00	3132,00
	მალის ნაშენის სავალ ნაწილზე საფარის მოწყობა					
20	საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, ტიპი B, მარკა II, სისქით 4 სმ	მ2	113,00	14,24	14,00	1582,00
21	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	0,034	1621,47	1600,00	54,40
22	საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, ტიპი B, მარკა II, სისქით 3 სმ	მ2	113,00	10,89	10,00	1130,00
	მალის ნაშენისა და ბურჯების ტროტუარებზე ა/ბ საფარის მოწყობა					
23	ტროტუარების შემასწორებელი ფენის მონოლითური ბეტონი B30, F200, W6	მ3	3,00	210,02	210,00	630,00
24	ასაკრავი ჰიდროიზოლაცია	მ2	52,00	39,35	39,00	2028,00
25	ტროტუარზე ქვიშოვანი ა/ბ საფარის მოწყობა, სისქით 3 სმ	მ2	52,00	13,01	13,00	676,00
	მისასვლელების სავალ ნაწილზე ა/ბ საფარის მოწყობა					
26	საფუძველი - ფრ. ღორღი (0-40 მმ), სისქით 15 სმ	მ2	348,00	5,21	5,00	1740,00
27	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	0,244	1459,62	1450,00	353,80

28	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი, ფოროვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, მარკა II, სისქით 6 სმ	მ2	348,00	19,35	19,00	6612,00
29	თხევადი ბიტუმის მოსხმა	ტ	0,104	1459,62	1450,00	150,80
30	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით, ტიპი Б, მარკა II, სისქით 4 სმ	მ2	348,00	14,24	14,00	4872,00
31	მისასვლელებზე ბეტონის ბორდიურების მოწყობა, კვეთით 15*30 სმ, ბეტონის საფუძველზე	მ	60,00	28,41	28,00	1680,00
32	ფრ. ღორღის (0-40 მმ) საფუძვლის მოწყობა ტროტუარებისთვის, სისქით 10 სმ	მ2	60,00	4,78	4,00	240,00
33	საფარის მოწყობა ქვიშოვანი ა/ბ-ით, სისქით 3 სმ	მ2	60,00	13,13	13,00	780,00
34	ხიდის მალის ნაშენსა და ბურჯებზე ზღუდარების შელებვა ფასადური საღებავით	მ2	46,00	6,19	6,00	276,00
35	სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა ერთკომპონენტიანი (თეთრი) საგზაო ნიშანსადები საღებავით, დამზადებული მეთილმეთაკრილატის საფუძველზე, გაუმჯობესებული ღამის ხილვადობის შუქდამბრუნებელი მინის ბურთულაკებით ზომით 100-600 მკმ	მ^2	16,50	8,89	8,00	132,00
	თავი 4. რ/ბ საყრდენი კედლის მოწყობა					
1	II კატეგორიის გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში	მ3	813,00	8,77	7,00	5691,00
2	III კატეგორიის გრუნტის დამუშავება და დატვირთვა ხელით თვითმცლელებზე, გატანა ნაყარში	მ3	41,00	19,58	19,00	779,00
3	შემასწორებელი ფენის მონოლითური ბეტონი B22,5, F200, W6	მ3	20,00	198,84	190,00	3800,00
4	არმატურის დაწყობა კედლისთვის	ტ	16,80	2937,95	2900,00	48720,00
5	კედლის მონოლითური ბეტონი B30, F200, W6	მ3	200,00	264,98	240,00	48000,00
6	წასაცხები ჰიდროიზოლაცია ცხელი ბიტუმით (2 ფენა)	მ2	370,00	11,49	11,00	4070,00
7	თიხის ეკრანის მოწყობა	მ3	34,00	93,58	90,00	3060,00
8	კედლის უკან ქვა-ყრილის მოწყობა	მ3	41,00	22,47	20,00	820,00
9	ხრეშოვანი გრუნტის დამუშავება კარიერში და დატვირთვა ექსკავატორით თვითმცლელებზე უკუშევსებისთვის, მოზიდვა 20 კმ-ზე	მ3	170,00	20,68	20,00	3400,00
10	კედლის წინა მხარის სიცარიელის შევსება ქვა-ყრილით	მ3	305,00	22,47	20,00	6100,00
11	წყლის ამოტუმბვა 2 ცალი 12 მ3/სთ წარმადობის ტუმბოთი	მ/სთ	56,00	17,44	17,00	952,00
	თავი 5. მისასვლელებზე ზღუდარების მოწყობა					
1	ხიდის მისასვლელზე ლითონის ზღუდარის მოწყობა შუქამრეკლი ელემენტების გათვალისწინებით	მ	84,00	96,64	85,00	7140,00
2	ინდივიდუალური პროექტირების საგზაო ნიშნების დაყენება 2 დგარზე, სიგრძით 4 მ, დიამ. 89 მმ, ბეტონის საძირკვლით, B22,5, F200, W6	ც	2,00	1345,50	1200,00	2400,00

	თავი 6. კონუსების გამაგრება					
1	ყრილის ზედაპირის მოსაპირკეთებლად ბეტონის საგების მოწყობა	**მ3**	**48,00**	**159,16**	**150,00**	**7200,00**
2	ყრილის ზედაპირის მოპირკეთება ფლეთილი ქვით, ბეტონის საგებზე	**მ2**	**240,00**	**95,22**	**75,50**	**18120,00**
სულ		**ლარი**				**322 341,36**
სულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (ტრასის აღდგენის გარეშე)		**ლარი**				**322 253,05**
ზედნადები ხარჯები (არაუმეტეს)		**10%**	**10**			**32 225,31**
სულ		**ლარი**				**354 478,36**
სახარჯთაღრიცხვო მოგება (არაუმეტეს)		**8%**	**8**			**28 358,27**
სულ		**ლარი**				**382 836,63**
სულ ტრასის აღდგენა-დამაგრების გათვალისწინებით		**ლარი**				**382 924,94**
დღგ		**18%**	**18**			**68 926,49**
სულ		**ლარი**				**451 851,43**
****) გაუთვალისწინებელი ხარჯები**		**5%**	**5**			**22 592,57**
*****) სულ ხარჯთაღრიცხვით**		**ლარი**				**474 444,00**

*) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული ერთეულის ფასი არ უნდა აღემატებოდეს, შემსყიდველის მიერ, ხარჯთაღრიცხვის შესაბამის გრაფაში დაფიქსირებულ სამუშაოს ერთეულის ზღვრულ ფასს;

**) აღნიშნული თანხის გამოყენება მოხდება მხოლოდ დამკვეთის (შემსყიდველის) ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე დამკვეთის (შემსყიდველის) სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

***) ფასები იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

შ.პ.ს. "ავტოგზა ლენტეხი 99"

დირექტორი: ა.ზურაბიანი

Amiran Zurabiani 27001000579

Digitally signed by Amiran Zurabiani
Date: 2022.04.18 18:00:50

ტექნიკური დავალება

1. **შესყიდვის ობიექტი:**

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-45) ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთის საავტომობილო გზის კმ1(0+145)-ზე, მდინარე ნაბჟუარაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2. **სამუშაოთა შემადგენლობა**

ჩასატარებელი ძირითადი სამუშაოთა სახეობები:

- მოსამზადებელი სამუშაოები;
- სამშენებლო ბაზის მოწყობა;
- დროებითი მისასვლელი გზეის მოწყობა;
- მდინარის კალაპოტის ფორმირება;
- სანაპირო ბურჯების შეკეთება;
- მალის ნაშენის და სავალი ნაწილის შეკეთება;
- რკინაბეტონის კედლების მოწყობა და შეკეთება;
- მრუდხაზოვანი ლითონის ზღუდარების მოწყობა;
- მისასლელი კონუსების გამაგრება.

3. **გარემოს დაცვა**

3.1 <u>მიმწოდებელი **ვალდებულია უზრუნველყოს:**</u>

3.1.1 ადგილსპეციფიური გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადება;

3.2 მიმწოდებელმა <u>**საჭიროების შემთხვევაში**</u> უნდა უზრუნველყოს:

3.2.1 საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (სკოპინგი და გზშ) მომზადება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შემსყიდველ უწყებასთან წარმოდგენა;

3.2.2 საავტომობილო გზაზე (განთვისების ზოლში) ახალი ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობის საჭიროების შემთხვევაში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის შესაბამისად, ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით სკრინინგის დოკუმენტის წარმოდგენა;

3.2.3 საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება;

3.2.4 სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის სტატუსის შეწყვეტა და/ან ტყით სპეციალური სარგებლობა ხე-მცენარეების ჭრის (გარემოდან ამოღების) ნებართვ(ებ)ის საკითხების შეთანხმების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და/ან საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;

3.2.5 ადგილობრივი მუნიციპალიტეტის (მ. შ. მუნიციპალური ტყე) საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ხე-მცენარეების ჭრის (გარემოდან ამოღების) ნებართვ(ებ)ის საკითხების შეთანხმებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2.6 ყველა კატეგორიის დაცული ტერიტორიის გამოვლენა და მათი გათვალისწინება საპროექტო დოკუმენტაციაში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2.7 სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) ზურმუხტის ქსელის საიტ(ებ)ის (ანდა კანდიდატი საიტები) კვეთის ანდა სიახლოვის შემთხვევაში, ზურმუხტზე ზემოქმედების შეფასების (ზზშ-ს) დოკუმენტის მომზადება;

3.2.8 საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო და შესაბამისი სხვა დოკუმენტის წარმოდგენა;

3.2.9 სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) საზღვრებში, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის ანდა გამოვლენის შემთხვევაში, მათი ჭრის (ბუნებრივი გარემოდან ამოღების) უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და/ან საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;

3.2.10 აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის 424-ე დადგენილების „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“-ის შესაბამისად განხორციელდეს, ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის მოჭრა და მისი დროებითი დასაწყობება შემდგომში გამოყენების მიზნით;

4. სამუშაოთა წარმოება

შესასრულებელი სამუშაოების მაღალი ხარისხისა და მოქმედ სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობის და წესების დაცვით, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მასალების (ცემენტობეტონის, ასფალტობეტონის, ქვიშა-ხრეშოვანი ნარევების, ფრაქციული ღორღის, ქვიშის და სხვა) ხარისხის ყველა საკონტროლო გამოცდა და შემოწმება, მათი გამოყენების ვარგისიანობაზე, განახორციელოს აკრედიტებულ ლაბორატორიაში, რაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნები და რეცეპტები.

სამუშაოებში შემსრულებლის მიერ გამოყენებელ მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატები. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

5. გეოდეზიური ზედამხედველობა

შემსრულებელი თავისი ძალებითა და სახსრებით უზრუნველყოფს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიურ ზედამხედველობას.

6. ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში შემსრულებული ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების შესაბამისად.

7. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, რომელშიც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა;

მოცემულ ჟურნალში, ზედამხედველი სისტემატურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ;

ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები; მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით;

(სამუშოათა წარმოების ჟურნალი და სხვა დოკუმენტები უნდა იწარმოოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის #1–1/23 ბრძანებით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად).

8. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

დასრულებული სამუშაოს მიღება ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვრის №1–1/23 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

9. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და ფასები:

გაუთვალისწინებელი თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ შემსყიდველის ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე შემსყიდველის სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

10. სამშენებლო პროცესების გამჭვირვალობა:

საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პირდაპირი (უწყვეტი) ვიდეოტრანსლაცია სამშენებლო ობიექტიდან, რაც გულისხმობს სამშენებლო უბნებზე შემსყიდველთან შეთანხმებული რაოდენობისა და ტექნიკური პარამეტრების მქონე ვიდეოსათვალთვალო წერტილ(ებ)ის განთავსება. სამშენებლო უბნებზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო მოწყობილობებიდან ვიდეონაკადი უწყვეტად უნდა მიეწოდოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კუთვნილ სერვერს.